



GREEN
CLIMATE
FUND



გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტრო



სსიპ გარემოსდაცვითი
ინფორმაციისა და
განათლების ცენტრი



Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development
and Cooperation SDC



შვედეთი
Sverige



გაიგე მეტი მწვანე პროფესიების შესახებ



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობაა ქვეყნის მასშტაბით, რაც გულისხმობს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებზე მორგებული პროგრამებისა და აქტივობების განხორციელებას. ამ გზით, ცენტრი უზრუნველყოფს გაზიარებული ცოდნის საფუძველზე საზოგადოებაში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას და საქართველოს მოქალაქეებში გარემოსდაცვითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.

პუბლიკაციის მიზანია გარემოსდაცვითი პროფესიების პოპულარიზაცია სკოლის დამამთავრებელი საფეხურის მოსწავლეებში. პუბლიკაცია აერთიანებს „მწვანე პროგრამებს“, რომლებიც საბაკალავრო საფეხურზე ისწავლება საქართველოში არსებულ სხვადასხვა უნივერსიტეტებში და მოიცავს შესაბამის დასაქმების სფეროებს.

პუბლიკაცია მომზადდა სსიპ გახელოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ და დაიბეჭდა პხოგხამის - „კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება საქართველოში“ ფაზდებში, რომელიც თანადაფინანსებულია საქართველოს მთავრობის, კლიმატის მწვანე ფონდის (GCF), შვედეთის და შვეიცარიის მთავრობების მიერ, ხოლო მის განხორციელებას გაეხოს განვითარების პროგრამა უზრუნველყოფს (UNDP).



გარემოს დაცვის
ინჟინერია და
გამოყენებითი
ეკოლოგია

ბიოლოგია

გეოგრაფია

გამოყენებითი
ბიომეცნიერებაები
და ბიოტექნოლოგია

ბიოლოგია

სამთო და
გაბრუნებელი

საინჟინრო
გეოდეზია

საინჟინრო
უსაფრთხოება
და საგანგებო
სიტუაციების
მართვა

გარემოსდაცვითი
ინჟინერია

დედამიწის
შემსწავლელი
მეცნიერებაები

ეკოლოგია

ნიადაგისა
და წყლის
რესურსების
ინჟინერია

გეოლოგია

პროგრამის ფარგლებში სტუდენტი მიიღებს ფართო თეორიულ ცოდნას გეოლოგიის ძირითადი საკითხების შესახებ, კერძოდ: დედამიწის აგებულებაზე, მის შედგენილობაზე, მოძრაობასა და სასარგებლო წიაღისეულის განლაგებაზე. სტუდენტი, ასევე შეისწავლის გეოლოგიური, გეოფიზიკური, საველე და ლაბორატორიული კვლევის თანამედროვე მეთოდებს, დედამიწის აგებულებისა და ნივთიერი შედგენილობის განსაზღვრისათვის. სტუდენტს გამოუმუშავდება გეოლოგიური ამოცანების შესასრულებლად საჭირო პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევები.

უნივერსიტეტი:

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ფაკულტეტი:

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი







დასაქმების სფერო:

- სახელმწიფო უწყებები (მაგ. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, დაცული ტერიტორიების სააგენტო, გარემოს ეროვნული სააგენტო, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საავტომობილო გზების დეპარტამენტი, საქართველოს პარლამენტის შესაბამისი კომიტეტი)
- საერთაშორისო ორგანიზაციები და საგრანტო პროექტები
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები
- შესაბამისი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციები
- სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები
- საქართველოს რკინიგზა
- მუზეუმები



გეოგრაფია

პროგრამის ფარგლებში სტუდენტი მიიღებს ფართო თეორიულ ცოდნას გეოგრაფიულ გარსში მიმდინარე სივრცით – დროით პროცესებსა და გეოგრაფიულ კანონზომიერებაზე. სტუდენტი გაანალიზებს და თანამედროვე ტექნოლოგიებით წარმოადგენს შესაბამის დასკვნებს, ამასთანავე, გამოიმუშავებს გეოგრაფიული გარემოს მდგრადობის შენარჩუნების, დაცვითი ღონისძიებების შეფასებისა და გეოგრაფიის დარგობრივი ენით ოპერირების უნარებს.

უნივერსიტეტი:	ფაკულტეტი:	დასაქმების სფერო:
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი 	<ul style="list-style-type: none"> • სახელმწიფო უწყებები (მაგ. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, დაცული ტერიტორიების სააგენტო, გარემოს ეროვნული სააგენტო, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს პარლამენტის შესაბამისი კომიტეტი) • საერთაშორისო ორგანიზაციები და საგრანტო პროექტები • ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები • შესაბამისი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციები • ტურისტული სააგენტოები
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი 	
სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი 	
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი 	



ბიოლოგია

პროგრამის ფარგლებში სტუდენტი მიიღებს ფართო თეორიულ ცოდნას ბიოლოგიის საკითხებზე. შეისწავლის ცოცხალ ორგანიზმთა აგებულებასა და ფუნქციებს, მათი ზრდის, გავრცელების, წარმოშობისა და განვითარების თავისებურებებს. გამოიმუშავებს ლაბორატორიული და აკადემიური მუშაობისთვის აუცილებელ კვლევით, ეთიკურ და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს.

უნივერსიტეტი:

უნივერსიტეტი:	ფაკულტეტი:
სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტი
სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტი
ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი	განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

დასაქმების სფერო:

- სახელმწიფო უწყებები (მაგ. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, დაცული ტერიტორიების სააგენტო, გარემოს ეროვნული სააგენტო, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, საქართველოს პარლამენტის შესაბამისი კომიტეტი)
- საერთაშორისო ორგანიზაციები და საგრანტო პროექტები
- შესაბამისი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციები
- სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები
- ბოტანიკური ბაღები; ზოოპარკი; თევზის/თევზსაშენი მეურნეობები
- ბუნებრივი რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებული სანარმოები და კომპანიები
- ქიმიური და ბიოქიმიური ლაბორატორიები
- ქიმიური; სამედიცინო; ვეტერინარული; აგრარული; ბიოტექნოლოგიური; ფარმაცევტული კომპანიები
- საკვები პროდუქტებისა და პარფიუმერული სანარმოები



პროგრამა

საინჟინრო გეოდეზია

პროგრამის ფარგლებში სტუდენტი მიიღებს ფართო თეორიულ ცოდნას საინჟინრო გეოდეზიისა და გეოინფორმატიკის სფეროში სხვადასხვა სპეციფიკაციის მქონე საინჟინრო ობიექტების დაპროექტების, მშენებლობის და ექსპლუატაციის შესახებ. სტუდენტს განუვითარდება დედამიწის ზედაპირის კოსმოსური და აეროსურათების დამუშავების, მიღებული მონაცემების დახარისხებისა და კადასტრული აღრიცხვის, აგრეთვე მათი გრაფიკული გამოსახვის უნარები.

უნივერსიტეტი:

სსიპ - საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტი

ფაკულტეტი:

სამთო-გეოლოგიური
ფაკულტეტი



დასაქმების სფერო:

- სახელმწიფო უწყებები (მაგ. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, გარემოს ეროვნული სააგენტო, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო, საქართველოს პარლამენტის შესაბამისი კომიტეტი)
- საერთაშორისო ორგანიზაციები და საგრანტო პროექტები
- შესაბამისი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციები



გარემოსდაცვითი ინჟინერია

პროგრამის ფარგლებში სტუდენტი მიიღებს ფართო თეორიულ ცოდნას გარემოსდაცვითი ინჟინერიის ძირითად საკითხებზე, კერძოდ, გარემოს ობიექტების ხარისხის მაჩვენებლებზე, მასზე მოქმედ მავნე ნივთიერებებზე, ბუნებრივ და ანთროპოგენულ ფაქტორებით გამოწვეულ ბიოსფეროს წონასწორობის რღვევასა და კლიმატურ ცვლილებებზე. სტუდენტი შეისწავლის ეკოლოგიური მონიტორინგის ჩატარების პრინციპებს, უნარჩენო ან მცირეუნარჩენიან ტექნოლოგიებს, სამრეწველო აეროზოლებისა და ჩამდინარე წყლების გაწმენდის მეთოდებს. სტუდენტი დაეუფლება შრომის ბაზარზე არსებულ თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამის, დარგისათვის საჭირო პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს.

უნივერსიტეტი:

სსიპ - საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტი

ფაკულტეტი:

ქიმიური
ტექნოლოგიის
და მეტალურგიის
ფაკულტეტი



დასაქმების სფერო:

- სახელმწიფო უწყებები (მაგ. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო, საქართველოს პარლამენტის შესაბამისი კომიტეტი)
- საერთაშორისო ორგანიზაციები და საგრანტო პროექტები
- სამშენებლო ორგანიზაციები (საპროექტო და საკადასტრო კომპანიები)
- ნავთობის და გაზის საძიებო და მომპოვებელი კომპანიები
- სივრცითი მონაცემების შეგროვებაზე, დამუშავებაზე, ანალიზსა და ვიზუალიზაციაზე მომუშავე კომპანიები
- სამთო მრეწველობის კომპანიები
- სამოქალაქო და სამრეწველო სამშენებლო პროფილის ორგანიზაციები



ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია

პროგრამის ფარგლებში სტუდენტი მიიღებს ფართო თეორიულ ცოდნას აგროინჟინერიის შესახებ. კერძოდ, სტუდენტი შეისწავლის ნიადაგის დაცვას, ბუნებრივი წყლის რესურსების დაცვასა და ინტეგრირებულ მართვას, თანამედროვე აგროსაინჟინრო სისტემების დაპროექტება-ექსპლუატაციას, ბუნებრივ-ანთროპოგენური რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით.

უნივერსიტეტი:

სსიპ - საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტი

ფაკულტეტი:

აგრარული
მეცნიერების და
ბიოსისტემების
ინჟინერინგის
ფაკულტეტი



დასაქმების სფერო:

- სახელმწიფო უწყებები (მაგ. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სოფლის განვითარების სააგენტო, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი)
- წყალმომარაგების კომპანიები
- ფერმერული მეურნეობები



ეკოლოგია

პროგრამის ფარგლებში სტუდენტი მიიღებს ფართო თეორიულ ცოდნას ეკოლოგიის შესახებ, კერძოდ, შეისწავლის ეკოლოგიურ ფაქტორებსა და მათი მოქმედების სპეციფიკას მცენარეთა და ცხოველთა ცალკეულ ორგანიზმებზე, სახეობრივ პოპულაციებსა და ეკოსისტემებზე. სტუდენტი მიიღებს სრულყოფილ ცოდნას ადამიანისა და მის მიერ შექმნილი საზოგადოების, როგორც სოციალური ფენომენის სტაბილურობაზე, მდგრადობასა და განვითარებაზე. სტუდენტი შეძლებს ეკოლოგიური ფაქტორების გაანალიზებას, ეკოლოგიური პრობლემის იდენტიფიცირებას, ასევე მოსალოდნელი შედეგების პროგნოზირებას თანამედროვე ეკოლოგიური ტექნოლოგიების სფეროში.

უნივერსიტეტი:

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფაკულტეტი:

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

ინჟინერიის აგრარულ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტი

დასაქმების სფერო:

- სახელმწიფო უწყებები (მაგ. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, გარემოს ეროვნული სააგენტო, ეროვნული სატყეო სააგენტო, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, საქართველოს პარლამენტის შესაბამისი კომიტეტი)
- საერთაშორისო ორგანიზაციები და საგრანტო პროექტები
- შესაბამისი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციები
- მუზეუმები; ზოოპარკი; ბოტანიკური ბაღები
- სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო კომპანიები
- ეკოტურისტული ორგანიზაციები
- ფარმაცევტული კომპანიები
- ეპიდემიოლოგიური და დაავადებათა კონტროლის დანესებულებები



დედამინის შემსწავლელი მეცნიერებები (გეოგრაფია, GIS ტექნოლოგიები, გეოლოგია, გეოფიზიკა)

პროგრამის ფარგლებში სტუდენტი მიიღებს ფართო თეორიულ ცოდნას დედამინის შემსწავლელი მეცნიერებების ფუნდამენტური ცნებების, კონცეფციების და თანამედროვე თეორიების შესახებ. სტუდენტი შეძლებს შეისწავლოს დედამინის მულტიდისციპლინური და ინტერდისციპლინური ხასიათი, გამოყენების არეალი, მისი მნიშვნელობა სოციოეკონომიკურ და გარემოსდაცვით კონტექსტში.

უნივერსიტეტი:

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფაკულტეტი:

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტი



დასაქმების სფერო:

- სახელმწიფო უწყებები (მაგ. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, გარემოს ეროვნული სააგენტო)
- საერთაშორისო ორგანიზაციები და საგრანტო პროექტები
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები
- სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები
- შესაბამისი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციები



საინჟინრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა

პროგრამის ფარგლებში სტუდენტი მიიღებს თეორიულ ცოდნას სამუშაო ადგილებთან დაკავშირებულ ტექნიკურ და ტექნოლოგიურ პროცესებზე, კერძოდ პროფესიული დაავადებების, პროფილაქტიკური და გარემოსდაცვითი ღონისძიებების შესახებ. სტუდენტი შეისწავლის: შრომის უსაფრთხოების სტანდარტებს, შრომის პირობების ოპტიმიზაციის მეთოდებს, საწარმოო რისკების შეფასებას და კონტროლს, ავარიული სიტუაციების პროგნოზირებას, ამასთანავე, ლოკალიზაციისა და ლიკვიდაციის ღონისძიებებს.

უნივერსიტეტი:

სსიპ - საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტი

ფაკულტეტი:

სამთო-გეოლოგიური
ფაკულტეტი



დასაქმების სფერო:

- სახელმწიფო უწყებები (მაგ. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, გარემოს ეროვნული სააგენტო, ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო)
- საერთაშორისო ორგანიზაციები და საგრანტო პროექტები
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები
- კერძო სექტორი



პროგრამა

სამთო და გეოინჟინერია

პროგრამის ფარგლებში სტუდენტი მიიღებს ფართო თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას სამთო-გეოინჟინერიის, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ტექნიკისა და ტექნოლოგიის შესახებ. ისინი გაეცნობიან სამთო საქმეში არსებულ თეორიებს, განუვითარდება მყარი სასარგებლო წიაღისეულის, ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიების, მარაგების შეფასების დამუშავებისა და განხორციელების უნარი.

უნივერსიტეტი:

სსიპ - საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტი

ფაკულტეტი:

სამთო-გეოლოგიური
ფაკულტეტი



დასაქმების სფერო:

- სახელმწიფო უწყებები (მაგ. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, გარემოს ეროვნული სააგენტო, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო)
- საერთაშორისო ორგანიზაციები და საგრანტო პროექტები
- შესაბამისი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციები
- ნავთობისა და გაზის მომპოვებელი საწარმოები
- სამშენებლო კომპანიები



გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია

პროგრამის ფარგლებში სტუდენტი მიიღებს ფართო თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიის შესახებ. ლაბორატორიებში სტუდენტი დაეუფლება: მოლეკულურ-გენეტიკური კვლევის მეთოდებს, ფიზიკურ-ქიმიურ, იმუნოლოგიურ და სხვა დიაგნოსტიკური კვლევის ტექნოლოგიებს მიკრობიოლოგიური კვლევის მეთოდების გამოყენების გზით.

უნივერსიტეტი:

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფაკულტეტი:

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი



სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი



დასაქმების სფერო:

- სახელმწიფო უწყებები (მაგ. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, დაცული ტერიტორიების სააგენტო, გარემოს ეროვნული სააგენტო, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, საქართველოს პარლამენტის შესაბამისი კომიტეტი)
- საერთაშორისო ორგანიზაციები და საგრანტო პროექტები
- შესაბამისი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციები
- სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები
- ბოტანიკური ბაღები; ზოოპარკი; სატყეო; სამონადირეო და თევზის მეურნეობები
- ბუნებრივი რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებული საწარმოები და კომპანიები
- ქიმიური და ბიოქიმიური ლაბორატორიები
- ქიმიური; სამედიცინო; ვეტერინარული; აგრარული; ბიოტექნოლოგიური და ფარმაცევტული კომპანიები
- საკვები პროდუქტებისა და პარფიუმერული საწარმოები



გარემოს დაცვის ინჟინერია და გამოყენებითი ეკოლოგია

პროგრამის ფარგლებში სტუდენტი მიიღებს ფართო თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას გარემოს დაცვის ტექნოლოგიის სფეროში, გარემოს კომპონენტების ხარისხის მაჩვენებლებისა და დამაბინძურებელი აგენტების წარმოქმნის წყაროების შესახებ. სტუდენტი შეძლებს დაბინძურების კონტროლისა და შეფასების ძირითადი პრინციპების ამოხსნას.

უნივერსიტეტი:

სსიპ - აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფაკულტეტი:

საინჟინრო-
ტექნოლოგიური
ფაკულტეტი



დასაქმების სფერო:

- სახელმწიფო უწყებები (მაგ. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, გარემოს ეროვნული სააგენტო, ეროვნული სატყეო სააგენტო, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს პარლამენტის შესაბამისი კომიტეტი)
- საერთაშორისო ორგანიზაციები და საგრანტო პროექტები
- შესაბამისი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციები
- ნარჩენების მართვისა და რეციკლირების სფეროს საწარმოები/ორგანიზაციები



უნივერსიტეტი	საფეხური	რეგისტრაციის ნომერი	პროგრამის დასახელება	კვალიფიკაცია	აკრედიტაციის ვადა
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბაკალავრიატი	702042	ბიოლოგია	მეცნიერების ბაკალავრი ბიოლოგიაში	დეკემბერი, 2027
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბაკალავრიატი	702047	გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია	გამოყენებით ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიის ბაკალავრი	დეკემბერი, 2027
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბაკალავრიატი	663103	გეოლოგია	მეცნიერების ბაკალავრი გეოლოგიაში	ივლისი, 2027
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბაკალავრიატი	694721	გეოგრაფია	მეცნიერების ბაკალავრი გეოგრაფიაში	ივლისი, 2027
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბაკალავრიატი	196	ეკოლოგია	მეცნიერების ბაკალავრი ეკოლოგიაში	ივლისი, 2025
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ბაკალავრიატი	694731	სამთო და გეოინჟინერია	სამთო და გეოინჟინერიის ბაკალავრი	დეკემბერი, 2032
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ბაკალავრიატი	706155	გეოლოგია	გეოლოგიის ბაკალავრი	ივლისი, 2027
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ბაკალავრიატი	718788	საინჟინრო გეოდეზია	საინჟინრო გეოდეზიისა და გეოინფორმატიკის ბაკალავრი	დეკემბერი, 2026
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ბაკალავრიატი	616039	გარემოსდაცვითი ინჟინერია	გარემოს ინჟინერიის ბაკალავრი	დეკემბერი, 2026
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ბაკალავრიატი	479745	საინჟინრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა	პროფესიული უსაფრთხოების ბაკალავრი	დეკემბერი, 2026
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ბაკალავრიატი	50	ნიდადაცვისა და წყლის რესურსების ინჟინერია	ინჟინერიის ბაკალავრი აგროინჟინერიაში	დეკემბერი, 2026
სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბაკალავრიატი	548317	დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)	დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების ბაკალავრი	ივლისი, 2032
სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბაკალავრიატი	645444	ეკოლოგია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)	ეკოლოგიის ბაკალავრი	ივლისი, 2032

უნივერსიტეტი	საფეხური	რეგისტრაციის ნომერი	პროგრამის დასახელება	კვალიფიკაცია	აკრედიტაციის ვადა
სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბაკალავრიატი	658830	ბიოლოგია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)	ბიოლოგიის ბაკალავრი	დეკემბერი, 2027
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბაკალავრიატი	258055	გეოგრაფია	გეოგრაფიის ბაკალავრი	ივლისი, 2027
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბაკალავრიატი	268168	ბიოლოგია	ბიოლოგიის ბაკალავრი	დეკემბერი, 2027
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბაკალავრიატი	442166	გამოყენებითი ბიომეცნიერებები (ბიოტექნოლოგია)	გამოყენებითი ბიომეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის ბაკალავრი	დეკემბერი, 2027
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბაკალავრიატი	№50	ეკოლოგია	ეკოლოგიის ბაკალავრი	ივლისი, 2025
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბაკალავრიატი	480295	გარემოს დაცვის ინჟინერია და გამოყენებითი ეკოლოგია	მეცნიერების ბაკალავრი გარემოს ინჟინერიაში	დეკემბერი, 2026
ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	ბაკალავრიატი	26046	ბიოლოგია	ბიოლოგიის ბაკალავრი	დეკემბერი, 2027
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბაკალავრიატი	687128	ბიოლოგია	ბიოლოგიის ბაკალავრი	დეკემბერი, 2027
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბაკალავრიატი	726054	გეოგრაფია	გეოგრაფიის ბაკალავრი	ივლისი, 2027
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბაკალავრიატი	371	ეკოლოგია	ეკოლოგიის ბაკალავრი	ივლისი, 2025
სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბაკალავრიატი	726052	ბიოლოგია	ბიოლოგიის ბაკალავრი	დეკემბერი, 2027
სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბაკალავრიატი	765574	გეოგრაფია	გეოგრაფიის ბაკალავრი	ივლისი, 2027
სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბაკალავრიატი	771	ეკოლოგია	ეკოლოგიის ბაკალავრი	ივლისი, 2025
სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბაკალავრიატი	352763	ბიოლოგია	ბიოლოგიის ბაკალავრი	დეკემბერი, 2027
სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბაკალავრიატი	246	ბიოლოგია	ბიოლოგიის ბაკალავრი	დეკემბერი, 2027
სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბაკალავრიატი	702716	ეკოლოგია	ეკოლოგიის ბაკალავრი	ივნისი, 2029



მინიშეჯიბი





ფენიანი





გარემოსდაცვითი ინფორმაციისა
და განათლების ცენტრი



info@iec.gov.ge



iec.gov.ge



+995 32 2 11 20 23